ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტი

უნივერსიტეტის წვლილი საზოგადოების განვითარებაში

დამტკიცებული:

სენატის სხდომის ოქმი N6.

თარიღი: 05.09.2025 წ.

დადგენილება N64.

პრეამბულა

„ნეუ - ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტი“ გაცნობიერებულად ხედავს საკუთარ როლს საზოგადოებაში, სისტემურად აქვს ჩამოყალიბებული მიდგომები და სტრატეგიული გეგმის შესაბამისად გაწერილი აქვს სამიზნე ნიშნულები. უნივერსიტეტი აღიარებს, რომ ცოდნის შექმნა და გადაცემა არ შემოიფარგლება მხოლოდ აუდიტორიული სივრცით - იგი გადადის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, აყალიბებს კრიტიკულ აზროვნებას, ზრდის მოქალაქეობრივ ცნობიერებას და ქმნის გარემოს, სადაც განათლება იქცევა საერთო ღირებულებად. უნივერსიტეტის სტრატეგიულ დოკუმენტებში ჩანს ინსტიტუციის სტრატეგიული მიდგომა ცოდნის გადაცემისა და გამოყენების საზოგადოებრივი კეთილდღეობისთვის. ამ მიზნისთვის მას განსაზღვრული აქვს კონკრეტული ინდიკატორები, მათ შორის კურსდამთავრებულთა დასაქმების ხარისხი, ადგილობრივ ინიციატივებში მონაწილეობა და სამოქალაქო ცნობიერების გაძლიერება.

„ნეუ - ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტისთვის“ საზოგადოების განვითარებაზე ზრუნვა საქმიანობის მთავარი ნაწილია - ეს უნივერსიტეტის მისიის არსებითი ბირთვია. უნივერსიტეტი აცნობიერებს, რომ განათლება იქმნება არა მხოლოდ აუდიტორიებში, არამედ საზოგადოებრივ სივრცეებში, ადამიანებს შორის ურთიერთობებში, საერთო გამოწვევებისა და მიზნების გარშემო.

საზოგადოების განვითარებაზე ზეგავლენის გაძლიერების მიზნით, უნივერსიტეტმა ახალ სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმაში ჩამოაყალიბა სტრატეგიული ხედვა/სტრატეგიული მიზანი, რომელიც ემყარება სამ ძირითად საყრდენს:

- **კულტურულ ფასეულობათა და სოციალურ პასუხისმგებლობათა განვითარება;**
- **საგანმანათლებლო ცნობიერების ამაღლება საზოგადოებაში;**
- **საზოგადოებრივი პროექტების დაგეგმვა/განხორციელება.**

სამივე ზემოაღნიშნული ინდიკატორი მოიცავს მოაზრებულ ჩართულობას, ღია განათლებას და პროგრესზე ორიენტირებულ თანამშრომლობას.

ამ ხედვის განხორციელებისათვის დაიგეგმა და შემუშავდა კომპლექსური აქტივობების პაკეტი, რომელიც მიზნად ისახავს, როგორც ახალგაზრდების (აბიტურიენტები, სტუდენტები, გარე დაინტერესებული პირები) მხარდაჭერას, ისე ფართო საზოგადოებრივი სივრცის განმტკიცებას.

დაგეგმილი ინიციატივები მოიცავს:

- ტრენინგებსა და გადამზადების პროგრამებს - საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის დასახმარებლად ახალი პროფესიული და ციფრული უნარების ათვისებაში;
- საგანმანათლებლო და სამეცნიერო კონფერენციებს - ცოდნის გაცვლის, კვლევისა და დისკუსიის კულტურის გაძლიერებისთვის;
- სამუშაო შეხვედრებსა და საჯარო ლექციებს - ღია საუბრისთვის, ეროვნული საგანმანათლებლო დღის წესრიგის განსამტკიცებლად;
- იმიტირებული ერთიანი ეროვნული გამოცდების ორგანიზებას - ახალგაზრდებისთვის გამოცდის სტრესის შემცირებისა და მომზადების რეალური საშუალების შექმნის მიზნით;
- სხვადასხვა მედია/სოც.მედია არხებით, საკომუნიკაციო საშუალებებით ინფორმაციის მიწოდებას ფართო საზოგადოებისათვის - საჯარო გამოსვლები ცნობიერების ამაღლებისათვის.

დაგეგმილი ინიციატივების განხორციელება საშუალებას აძლევს აბიტურიენტებს, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს, გარე დაინტერესებულ პირებს და საზოგადოებას უშუალოდ იყვნენ ჩართულნი საგანმანათლებლო პროცესებში, მიიღონ ცოდნა, გამოცდილება და მეტი ძალა საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაციისთვის.

საზოგადოებაზე ზეგავლენის შესაფასებლად 2025 წლის ბოლოს შეიქმნება სპეციალური მექანიზმები - გამოყენებულ იქნება რაოდენობრივი და ხარისხობრივი ანალიზი, მონაწილეთა უკუკავშირი, კმაყოფილების მაჩვენებლები, პროგრესისა და ჩართულობის დინამიკა იმისთვის, რომ დადგინდეს რამდენად მისცა უნივერსიტეტის მოცემულმა მიდგომამ საფუძველი არა მხოლოდ შედეგების შეფასებისთვის, არამედ მომავალში უფრო მიზნობრივი სტრატეგიების შესამუშავებლად.

„ნეუ - ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტი“ მაშინ ასრულებს თავის რეალურ როლს და მისიას, როდესაც ცოდნას არამარტო გადასცემს, არამედ ცვლილებებს ამოძრავებს. სწორედ ამიტომ, საზოგადოების განვითარებაზე ზრუნვა ინსტიტუციისთვის არის მუდმივი, უწყვეტი პროცესიც და ეროვნული პასუხისმგებლობაც, რადგან თავად უნივერსიტეტის სახელწოდებაც ხომ სრულად ეროვნულ მოტივებზე გვიჩენს პირველ წარმოსახვას. უნივერსიტეტის ხედვის ძირითადი ღირებულებებიც ეროვნულ მოტივებზეა ორიენტირებული - განათლება, პროგრესი, თანასწორობა, თანამშრომლობა და ჰუმანურობა.

სამიზნე ნიშნულები

1. კულტურულ ფასეულობათა და სოციალურ პასუხისმგებლობათა განვითარება - 95%;

2. საგანმანათლებლო ცნობიერების ამაღლება საზოგადოებაში 95%;

3. საზოგადოებრივი პროექტების დაგეგმვა/განხორციელება უწყვეტად;

4. მედია/სოც.მედია არხებით, საკომუნიკაციო საშუალებებით ინფორმაციის მიწოდებას ფართო საზოგადოებისათვის.